პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 196 (2916) ● შაბათი, 5 ოქტომბერი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

# ჩემპიონის ფსიქოლოგიური მანევრი

**რიგა, 4 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** დღეს აქ გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის საჭადრაკო მატჩის მე-7 პარტია. თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი.

მსოფლიო ჩემპიონმა, წინა პარტიების მსგავსად, ლაზიერის მიღებული გამბიტი აირჩია. მე-4 სვლაზე კუშნირმა გამოიყენა თეორეტიკოსების ყურადღების ცენტრში მყოფი გაგრძელება, რომელიც უკანასკნელ წლებში ძალზედ პოპულარულია. მაგრამ გაფრინდაშვილმა სწორი ფსიქოლოგიური გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც გვერდი აუარა აღნიშნული თეორიული გაგრძელების ძირითად ვარიანტებს. ამით მან ჯერ ერთი, აიძულა მოწინააღმდეგე გადაეხვია ადრევე დამუშავებული გზიდან, ამასთან, თავი აარიდა მოსალოდნელ სახიფათო, მისთვის არასასიამოვნო გაგრძელებას.

უკვე მე-2 სვლაზევე შეწირული პაიკის დაბრუნებისათვის კუშნირმა მიმართა ლაზიერის მანევრს, რისთვისაც დაკარგა ძვირფასი ტემპი. მსოფლიო ჩემპიონმა წარმატებით დაასრულა ფიგურების მობილიზება, რის შემდეგაც დაიწყო აქტიური ოპერაციები ლაზიერის ფლანგზე. პრეტენდენტმა დააყოვნა კონტროპერაციები. ამით ისარგებლა მსოფლიო ჩემპიონმა — აამოძრავა ლაზიერის ფრთის პაიკები და მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას.

ნ. გაფრინდაშვილი
ა. კუშნირი
რიგა · 1965

თეთრების იზოლირებული ცენტრალური პაიკი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონმა ალყაში მოაქცია იგი და 21-ე სვლაზე მოიგო კიდეც.

რამდენიმე სვლის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა გაცვალეს ლაზიერები. გაიცვალა აგრეთვე მხედრები, თითო-თითო ეტლიც და პოზიცია საგრძნობლად გამარტივდა. ბრძოლა ფაქტიურად ეტლების დაბოლოვებაში გადავიდა. მსოფლიო ჩემპიონმა შეინარჩუნა ზედმეტი პაიკი და პოზიციური უპირატესობა. პარტია გადაიდო 42-ე სვლაზე გაფრინდაშვილისთვის მოსაგები შანსებით.

აი გადადებული პოზიციაც:

**თეთრები (ა. კუშნირი):** მფg2, ეa3, პ-ბი f3, f5, g4.

**შავები (ნ. გაფრინდაშვილი):** მფh7, ეc4, პ-ბი a4, f7, g7, h6. გაფრინდაშვილმა ჩაიწერა 42-ე სვლა.

## უკანასკნელ საათს...

◆ **პრაღა, 4 ოქტომბერი.** 17 ქვეყნის 124-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა კოშიცეს 35-ე ტრადიციულ მშვიდობის მარათონში. შეჯიბრება მოიგო ბელგიელმა ა. ვანდენდრისემ. მომდევნო ადგილები დაისაკუთრეს ინგლისელმა სპორტსმენებმა უ. ადკოკსმა და ბ. კილბიმ. გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო ინგლისის ნაკრები.

◆ **ბუდაპეშტი, 4 ოქტომბერი.** მსოფლიოს რეკორდსმენმა უროს ტყორცნაში დ. ჟივოცკიმ უნგრეთის მძლეოსანთა გუნდურ ჩემპიონატში მაღალი შედეგი აჩვენა — 69,94 მეტრი.

◆ **ობერჰოფი, 4 ოქტომბერი.** ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრებაში (ხელოვნური საფარით) გდრ-ს წარმომადგენელმა დ. ბოკელომ დაძლია 68 მ და 70,5 მ და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი წილად ხვდა პ. ლესერს (65,5 მ და 68 მ). ქულათა აღრიცხვა ხდებოდა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მიერ შემოღებული ახალი შკალით.

◆ **კოპენჰაგენი, 4 ოქტომბერი.** დაიწყო საერთაშორისო ტურნირი დანიის დედაქალაქის საჭადრაკო კლუბის თასზე. მონაწილეთა შორის არიან ბ. ლარსენი, ი. გლიგორიჩი, ა. სუეტინი, მ. ტაიმანოვი და სხვ. პირველ ტურში სუეტინ—დიუკშტეინის (ავსტრია) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ტაიმანოვმა მოსაგებ მდგომარეობაში გადადო პარტია დანიელ ენევოლდსენთან.

◆ **პრაღა, 4 ოქტომბერი.** მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ბელგიელმა გ. რულანტსმა პირველი ადგილი დაიკავა 3000 მ. დაბრკოლებებით რბენაში — 8.48,8. გფრ-ს სპრინტერებმა დ. ენდერლეინმა და ფ. როდერფელდმა 100 მ რბენაში 10,2 აჩვენეს.

# გ უ შ ი ნ წ ი ნ...

გ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე მატჩის III პარტია ვ. შჩოგოლევსა და ი. კუპერმანს შორის, რომელშიც თეთრებით თამაშობდა კუპერმანი. 57-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დღეს გაიმართება IV პარტია, რომელშიც თეთრებით ითამაშებს შჩოგოლევი. ჯერჯერობით ანგარიშია 2:1 კუპერმანის სასარგებლოდ.

ასეთ შანსს გროსმაისტერები ეძებენ ხოლმე. შჩოგოლევის ბოლო სვლამ სრულიად მოულოდნელად პრეტენდენტი საგონებელში ჩააგდო. არის რამდენიმე საინტერესო გაგრძელება, მომხიბლავი პერსპექტივა. ახლა უკვე ყველაფერი კუპერმანის ანალიზის უნარზეა დამოკიდებული და ისიც „ჩაუჭდა“ ვარიანტების გათვლას.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

# კომენტარები მატჩის შემდეგ

**ათენი, 4 ოქტომბერი.** ადგილობრივი პრესა დიდ ადგილს უთმობს საბერძნეთისა და სსრ კავშირის კვირის მატჩს. „იმედების მსხვრევა“ — ასეთია გაზეთების საერთო ტონი. სპორტული კომენტატორები ხაზს უსვამენ ბერძენთა დაცვის სისუსტეს. ამავე დროს აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა აჩვენეს პრაქტიკული თამაში და ყველა ხაზში დაჯაბნეს მასპინძლები.

საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა განაცხადა, რომ კვირის მატჩი ძალზე კორექტული და შინაარსიანი გამოდგა. მასპინძლებს შორის მოროზოვი გამოყოფს კამარასს, დომაზოსსა და პაპაიოანუსს, ხოლო საბჭოთა ფეხბურთელებში — იაშინს, ხურცილავას, ვორონინს, საბოს, მეტრეველსა და ბანიშევსკის.

## ვ. არბეკოვი — მსოფლიო ჩემპიონი

ბელგიის ქალაქ კლაგენფურტში 15 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა მოტოციკლისტთა შეჯიბრება — „გრან პრი“. ეს იყო ხანგრძლივი და მრავალეტაპიანი მსოფლიო პირველობის უკანასკნელი „აკორდი“. 250 კბ სმ კლასის მანქანებით რბოლა მოიგო ბელგიელმა ჟ. რობერმა, რომელსაც გადაეცა კიდეც „გრან პრი“.

უკანასკნელ ეტაპზე მონაწილეობა არ მიუღია საბჭოთა სპორტსმენს ვ. არბეკოვს. მიუხედავად ამისა, მან მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტული. ვერცხლის მედალი წილად ხვდა ჟ. რობერს, ხოლო ბრინჯაოსი — დ. ბიკერსს (ინგლისი).

## საკავშირო რეკორდით

პარიზში ორ დღეს გრძელდებოდა საფრანგეთისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა ვაჟთა გუნდებს შორის. ასპარეზობა მოიგეს სტუმრებმა — 120:92. საბჭოთა მძლეოსნებმა მაღალი შედეგები აჩვენეს პირად პირველობაში. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ე. ოზოლინი, ა. ტუიაკოვი, ბ. სავჩუკი და ნ. პოლიტიკო, ესტაფეტაში 4×100 მეტრზე დაამყარა სსრ კავშირის ახალი რეკორდი — 39,2.

ი. ტერ-ოვანესიანი ერთხელ კიდევ გადაახტა 8-მეტრიან ზღვარს. მისი შედეგია 807 სმ. ვ. ბრუმელმა გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში — 215 სმ. გ. ბლიზნეცოვმა 10 სანტიმეტრით აჯობა ფრანგ ე. დანკოსს, რომელმაც ჭოკით ხტომაში დაძლია 480 სმ.

5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში საინტერესო დუელი გაიმართათ ფრანგ და საბჭოთა სტაიერებს შორის. 5.000 მეტრზე ფინიშთან პირველი მივიდა ფრანგი მ. ჟაზი — 13.52,4. სამაგიეროდ, 10.000 მეტრზე რბენაში ლ. ივანოვმა შეძლო რევანშის აღება — 28.51,6. მაღალი შედეგი აჩვენა ი. ლუსისმაც. მან შუბი ტყორცნა 85.88 მეტრზე.

სტუმრებმა გაიმარჯვეს აგრეთვე 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — ვ. კუდინსკიმ, 200 მეტრზე რბენაში — ბ. სავჩუკმა, 400 მ თარჯრბენში — ვ. ანისიმოვმა, სამხტომში — ე. ზოლოტარიოვმა, ბადროს ტყორცნაში — ვ. ტრუსენიოვმა. სამაგიეროდ, 800 მეტრზე პირველი იყო ფრანგი მ. ლიურო, 400 მეტრზე მ. სამპე, 100 მეტრზე კ. პიკემალი და სხვ.

# მფრინავ სამიზნეებზე

თბილისში, „მონკავშირის“ სტენდზე დაიწყო „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა სასტენდო სროლაში. გამარჯვებისთვის იბრძვიან მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინისა და საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები, რომელთა შორის არიან ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონები და რეკორდსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დურნევი (მოსკოვი), ი. ნიკანდროვი (უკრაინა), სპორტის ოსტატები — ვ. პეტროვი, ვ. კამპფი (ორივე უკრაინა), გ. ტიშჩენკო (რსფსრ), ზ. მაჩხანელი (საქართველო) და სხვები.

მრგვალ სტენდზე შესანიშნავი სტარტი ჰქონდათ ნ. დურნევსა და ვ. კამპფს. ორი სერიის 50 შესაძლებლიდან მათ არც ერთი ქულა არ დაუკარგავთ. მესამე სერიაში ვ. კამპფს უვნებლად გაუფრინდა ერთი სამიზნე, ნ. დურნევმა კი ამჯერადაც ყველას ზუსტად ესროლა. მეოთხე სერიაში მეტოქეებმა 23-23 მფრინავი სამიზნე დაამსხვრიეს, რის შედეგად ლიდერობა ხელთ იგდო ნ. დურნევმა — 98 ქულა. ვ. კამპფს აქვს 97 ქულა. მესამეზეა გ. ტიშჩენკო — 96 ქულა. ჩვენი რესპუბლიკის ერთადერთი წარმომადგენელი, პირველთანრიგოსანი ე. ნადირაძე 77 ქულით ჯერჯერობით მე-17 ადგილზეა.

ადგილიდან სროლაში პირველი დღე ერთნაირი შედეგით დაამთავრეს ი. ნიკანდროვმა (22+22+25+23) და ვ. პეტროვმა (22+25+21+24). თითეულმა 92 ქულა მოაგროვა. პროფკავშირთა VIII სპარტაკიადისა და მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის პრიზიორმა თბილისელმა ზ. მაჩხანელმა წარუმატებლად დაიწყო ასპარეზობა. მან ამ დღეს მხოლოდ 85 ქულა (22+20+20+23) მოაგროვა და ჯერჯერობით მე-11 ადგილზეა. უფრო კარგად გამოდის ახალგაზრდა პირველთანრიგოსანი კ. ელენტი (23+20+23+21). მას 87 ქულა აქვს და მე-7 ადგილზე იმყოფება.

როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე მსროლელებს მისაღები აქვთ კიდევ 200-200 სამიზნე, რის შემდეგ გამოვლინდებიან პრიზიორები.

ო. ივდოშვილი.

**გუშინ** სპარტაკელ მესტენდურეთა საკავშირო პირველობაზე ადგილიდან მეორე 100 გასროლა მოიგო ნიკანდროვმა — 95 ქ. მეორეზეა ზ. მაჩხანელი — 94 ქ. მრგვალ სტენდზე დაწინაურდა კამპფი — 99 ქულა.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) — კ. ელენტი, ზ. მაჩხანელი, ნ. დურნევი, ი. ნიკანდროვი და ვ. პეტროვი საუბრობენ ასპარეზობის წინ.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

# გ. იოსელიანი ფიზიკური აღზრდის შესახებ

1952 წელს გაზეთ „ივერიის" 1891 წლის ერთ-ერთი ნომრის კითხვისას შემთხვევით წავაწყდით ცნობას გ. იოსელიანის ბროშურის „ყმაწვილობის ფიზიკური აღზრდის" 1889 წელს გამოცემის შესახებ. ცნობამ დაგვაინტერესა და გადავწყვიტეთ ამ წიგნის დაძებნა, მით უმეტეს, **ეს იყო ქართულ ენაზე პირველი წიგნი ყმაწვილების ფიზიკური აღზრდის შესახებ.**

უპირველეს ყოვლისა, მივმართეთ ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს. მაგრამ ის არც ერთ ბიბლიოგრაფიულ ცნობარში და თვით გ. იოსელიანის შრომების ბიბლიოგრაფიაშიც შეტანილი არ აღმოჩნდა. მივმართეთ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას, სადაც წავაწყდით ერთადერთ და ისიც ხელუხლებელ (ფურცლები გაუჭრელი იყო) ეგზემპლიარს. წიგნი შეიცავს 64 გვერდს და განიხილავს ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საკითხებს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველმა მოწინავე პროგრესიულ მოღვაწეებმა და პედაგოგებმა ალექსანდრე ზაქარიას ძე სულხანიშვილმა და პეტრე ჩარექიშვილმა დააყენეს საკითხი ფიზიკური აღზრდის საჭიროების შესახებ. ჩარექიშვილი მოითხოვდა არა მარტო ყმაწვილთა ფიზიკურ აღზრდას, არამედ ქალთა ფიზიკური აღზრდის საჭიროებასაც. მაგრამ ამ საკითხზე ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი ცალკე წიგნი გ. იოსელიანს ეკუთვნის.

ამას წინათ ბაქოში გამართულ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მძლეოსნობაში იუნიორთა შორის კარგად გამოვიდა თბილისელი სპორტსმენი ა. ვიბლიანი. ჭოკით ხტომაში მან 390 სმ გადალახა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

სურათზე: ა. ვიბლიანი შეჯიბრების დროს.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

გ. იოსელიანი ბავშვთა აღზრდას მიიჩნევს სხვა საქმეთა შორის ურთულეს საქმედ და აღზრდის ეფექტიურობისათვის საჭიროდ მიაჩნია აღმზრდელის ბუნების თავისებურებათა შესწავლა. „ეს ცოდნა, — წერს იოსელიანი, — მიუცილებლად საჭიროა ადამიანის ხორციელი და სულიერი ძალების აღზრდისა და განვითარებისათვის, თუ აღმზრდელმა არ იცის ზედმიწევნით ბუნება იმ არსებისა, რომელიც უნდა აღზარდოს, ცხადია, ისე ვერ აღზრდის და გახსნის მას, როგორც მისი ბუნება მოითხოვს. აი, ამიტომაც ადამიანის აღზრდაზე უძნელესი საქმე არ არის რა ქვეყანაზე".

გ. იოსელიანი ერთიანობაში განიხილავს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მხარეებს, მათი განვითარებისათვის თანაბრად ზრუნავს. „ადამიანისათვის საჭიროა ორგვარი აღზრდა, — წერს გ. იოსელიანი, — აღზრდა სხეულისა და აღზრდა სულისა... აღზრდასა და ვარჯიშობას ითხოვს როგორც სულიერი მისი ბუნება, ისე ხორციელი.

სული და ხორცი ადამიანისა ისე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ ერთის მათგანის უმეორისოდ გახსნა და აღზრდა სრულ აღზრდად ვერ ჩაითვლება და თითქმის შეუძლებელიცაა".

„სწავლასა და აღზრდაზეა სრულებით დამოკიდებული ადამიანის ბედნიერება და უბედურება, სიკეთე და უკეთესობა, მარგებლობა და ურგებლობა".

„მომავალი თაობის აღზრდაზე ზრუნვა უნდა იწყებოდეს დიდი ხნით ადრე, მანამ ის დაიბადება, რადგან მისი ბედნიერება, უპირველესად, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ჩნდება ანუ იბადება იგი ქვეყანაზე: ტანმთელი და უნაკლო თუ სუსტი, სნეული და ნაკლულოვანი ეს დამოკიდებულია მრავალ მიზეზებზე, რომელსა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების ტანმთელობას. თუ დედ-მამა ტანმთელი და უნაკლულო ადამიანები არიან, მაშინ უმეტესად საღი და უნაკლო შვილები ეყოლებათ". იოსელიანი იქვე ძველი ბერძნების მაგალითზე მიუთითებს, რომლებიც განსაკუთრებით ზრუნავდნენ ქალთა ფიზიკურ აღზრდაზე, რისთვისაც „ქალების სხეულის გახსნისა და აღზრდისათვის მრავალნაირ გიმნასტიკურ ვარჯიშობასა და საშუალებას ხმარობდნენ და ამგვარმა ჩვეულებამ, მართლაც, კარგი ნაყოფი მოიტანა იქ".

ბავშვთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად საუკეთესო საშუალებად ავტორი მიიჩნევს მოძრავ თამაშობებსა და „წმინდა ჰაერში სეირნობას". იქვე იოსელიანი განაგრძობს: „მოძრაობა და თამაში განსაკუთრებით მაშინ ხდება საჭირო, როცა ყმაწვილი სწავლობს და იძულებულია დიდხანს იჯდეს კლასში ან სახლში გაკვეთილების დროს. დიდხანს ჯდომა და უძრაობა ძლიერ მავნებელია ყმაწვილის ნაზი და მოზარდი სხეულისათვის".

მოსწავლეთა ნორმალური ფიზიკური აღზრდის საქმის ხელმძღვანელობისათვის მას საჭიროდ მიაჩნია ამ დარგის სპეციალისტების, გიმნასტიკის მასწავლებელთა მომზადება, რომელმაც „კარგად უნდა იცოდეს, როგორი მოძრაობა და ვარჯიშობა უფრო სასარგებლოა ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილების გასახსნელად. ვისაც შეძლება აქვს, შინაც კი ჰყავთ თავიანთი შვილებისათვის „გიმნასტიკის" მასწავლებელი."

მოძრავ თამაშობათა და ტანვარჯიშული ვარჯიშების გარდა ფიზიკური აღზრდის საშუალებებად იოსელიანს მიაჩნია: „დრო გამოშვებით მისი ძალის შესაფერი გონივრული ფიზიკური შრომა ან მუშაობა... მარგებელი სასმელ-საჭმელი, წმინდა ჰაერი, თავის დროზე მოსვენება, ზომიერი ფიზიკური და ძლიერი მოქმედება ანუ მუშაობა, ტანის ბანაობა და სხვ".

ყოვლად შეუძლებელია საგაზეთო წერილში ყველა იმ საგულისხმო საკითხის აღნიშვნა, რომლებიც აღძრულია გ. იოსელიანის წიგნში.

წიგნი უდავოდ იმსახურებს სპეციალურ შესწავლას და ვფიქრობთ, ამ საკითხით დაინტერესდებიან ამ დარგის სპეციალისტები.

**ვ. აფრიდონიძე.**

## რაიონებში სპორტული [illegible]

### ✦ მახარაძე

მახარაძეში გაიმართა რაიონული შეჯიბრება სახანძრო გამოყენებით სპორტში. გამარჯვებისთვის იბრძოდა 13 გუნდი. ასპარეზობაში ყველაზე უკეთ გამოვიდნენ ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, ლაითურისა და გურიანთის ჩაის ფაბრიკების გუნდები.

**შ. კილურაძე.**

### ✦ ზესტაფონი

ზესტაფონის მძლეოსანთა პირად-გუნდურ პირველობაში გუნდები გამოიყვანეს მხოლოდ „განთიადმა" და „ლოკომოტივმა". „კოლმეურნემ" და „სპარტაკმა" ტურნირს თავი აარიდეს. გაიმარჯვეს რკინიგზელებმა. პირადში უძლიერესნი იყვნენ დ. დეისაძე, ნ. ჩხეიძე, გ. ხუჭუა, ო. მემანიშვილი და სხვ. ასპარეზობაში კონკურსგარეშე მონაწილე მე-2 სკოლის XI-კლასელმა პ. გოცაძემ შუბი ტყორცნა 50,45 მეტრზე და რაიონის ახალი რეკორდი დაამყარა.

**ა. განუგრაშა.**

### ✦ თბილისი

თბილისის ზღვაზე ჩატარდა კიროვის სახ. რაიონის ტურისტთა შეკრება. რის შემდეგ მოეწყო შეჯიბრებანი რბენაში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ბაგირის გადაძალვაში, ტყვიით სროლაში. გაიმარჯვეს მე-6 სამკერვალო ფაბრიკის სპორტსმენებმა.

რაიონის ფრენბურთელთა ტურნირი მოიგეს: ქალთა შორის — მე-6 სამკერვალო ფაბრიკის, ვაჟთა შორის — ქარხანა „ელექტროავტომატის" სპორტსმენებმა.

**ჯ. მორგოშია.**

• • •

ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ფიზსაბჭომ ამ დღეებში ჩაატარა შეჯიბრება ქარხნის საამქროების ფრენბურთელთა შორის.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ინსტრუმენტული და ამწყობი საამქროების ვაჟთა გუნდები. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ამწყობი საამქროს ფრენბურთელებმა.

ასპარეზობა სპორტსმენებმა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კონფერენციას მიუძღვნეს.

**ი. ხაბეიშვილი.**

# მონაწილენი კმაყოფილი არიან

თბილისში დამთავრდა არმიელთა საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნობაში იუნიორთა შორის. საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გარდამავალი თასი გადაეცა მოსკოვის I გუნდს. მომდევნო საპრიზო ადგილები მოიპოვეს ლვოვისა და მოსკოვის II გუნდებმა.

პირადი პირველობის უკანასკნელ შეხვედრებში კვლავ კარგად გამოვიდა ვ. პანტელეევი. მან 1500 მ რბენაშიც შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და გაიმარჯვა — 3.52,0. მანვე მოიგო 3.000 მეტრზე რბენა, ამჯერად I თანრიგის შედეგით — 8.31,4. ორგზის გამარჯვება მოიპოვა მოსკოველმა გ. ქელეზნოვამ. მან თავი ისახელა 200 მეტრზე — 25,7 და 400 მეტრზე რბენაში — 59,0. ათჭიდი მოიგო ოდესელმა ვ. ტრეგუბენკომ — 6.236 ქულა. სპორტის ოსტატმა ა. ლებედევმა (მოსკოვი) ყველას აჯობა 200 მეტრზე — 21,5. როსტოველმა ოსტატმა ვ. იაკიმენკომ სამხტომში დაისაკუთრა პირველობა — 15.09. ბირთვის კვრაში პირველი თანრიგის შედეგით ჩემპიონი გახდა მოსკოველი გ. პოდკოვიროვი — 15,25.

გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ორჯერ ავიდა მოსკოველი სპორტსმენი ლ. ბელიაკოვა. მან ჯერ მოიგო ხუთჭიდი (4252 ქულა), შემდეგ სიგრძეზე მხტომელთა ტურნირში ჩაება და აქაც უძლიერესის სახელი დაისაკუთრა. მისი შედეგია 564 სმ.

აღსანიშნავია, რომ „ბურევესტნიკის" სტადიონი მომზადებული შეხვდა ასპარეზობას, რამაც დადებითად იმოქმედა მაღალი შედეგების ჩვენებაზე.

ასპარეზობის შემდეგ შედგა ნაკრები. იგი მონაწილეობას მიიღებს იუნიორთა პირველ საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც 24-25 ოქტომბერს შედგება თბილისში.

**ვ. ბუკინი.**

● „პატარა სოსო გამოჩნდა, რომელიც გლდანელობას აპირებსო:

ამ დღეებში ორი ბიჭი გალახა სოსომ მასზედ ხნითაც მეტი და განითაც, სოსოს კისრულთან მათი ჯანი ვერას გახდა."

(„დროება" 1883 წ. № 34)

● „ხუთშაბათს გლდანელის ჭიდაობას დავესწარით პირველად, რომელმაც დიდუბის მინდორზედ დიდძალი ხალხი შეყარა. გლდანელის მებრძოლი კახელი ბიჭი ძალიან მარჯვედ დაუხვდა და რო არ გაეშველებინათ, ვინ იცის როგორ იქნებოდა გლდანელის საქმე. გლდანელის ჭიდაობაზედ დასწრებამ ორი სურვილი გაგვიღვიძა თავში. ერთი, რომ ჭიდაობის მოყვარეთ და მოთავეთ თან-და-თან აღადგინონ სახალხო თამაშობები, მაგ. ცხენოსნობა, ბურთაობა და სხვ. და მეორე, გამართონ საჭიდაო ცირკი."

(ღ. კეზელი, „საკვირაო მასლაათი" (კისრული) „დროება" 1883 წ. № 60).

ქართული სპორტის ქრონიკა

⊙

მასალები შეკრიბა და მოგვაწოდა ვ. სიდამონიძე.

⊙

# საქართველოს 10 საუკეთესო

## ცურვა

### 1965 წლის 1-ლი სექტემბრისათვის

●

### ვაჟები

**100 მ თავისუფალი სტილით** — **გ. კარბუკოვი** — 58,3 (38) თბილისი, „განთიადი"; **ბ. ნიკიტინი** — 1.00,1 (38) თბილისი, „დინამო"; **ე. კობეცკოი** — 1.00,4 (40) სოხუმი, „დინამო"; **ი. გიორგობიანი** — 1.00,5 (42) თბილისი, „დინამო"; **ა. არტამონოვი** — 1.00,7 (46) ბათუმი, „განთიადი"; **ვ. გიორგაძე** — 1.00,8 (47) თბილისი, „ბურევესტნიკი"; **ა. იოაკიმიდი** — 1.01,4 (48) თბილისი, „დინამო"; **ვ. ისელიძე** — 1.01,7 (48) თბილისი, „დინამო"; **ს. კრავცოვი** — 1.02,1 (46) თბილისი, „დინამო"; **ვ. ბოგდანოვი** — 1.02,8 (41) თბილისი, „განთიადი".

საშუალო შედეგი 1963 წ. — 1.00,8; 1965 წ. — 1.00,9.

**400 მ თავისუფალი სტილით** — **ა. იოაკიმიდი** — 4.43,1; **გ. კარბუკოვი** — 4.48,0; **ბ. ნიკიტინი** — 4.48,5; **ვ. ზლობინი** — 4.55,0 (43) სოხუმი, „დინამო"; **ვ. გიორგაძე** — 4.55,8; **ს. კრავცოვი** — 4.56,2; გ. შიხიკიანი — 5.06,0 (49) თბილისი, „დინამო"; ვ. ონუფრიენკო — 5.10.7 (49) თბილისი, „შრომითი რეზერვები"; ა. პოლულინი—5.12,4 (49) თბილისი, „შრომითი რეზერვები"; ი. გიორგობიანი — 5.13,7.

საშუალო შედეგი 1963 წ. — 4.57,7; 1965 წ. — 4.58,9.

**1500 მ თავისუფალი სტილით** — **ს. კრავცოვი** — 19.03,1; **ბ. ნიკიტინი** — 19.31,0; ვ. ზლობინი — 19.56,3; ა. იოაკიმიდი — 19.56,4; ვ. ონუფრიენკო — 20.09,3; გ. შიხიკიანი—20.21,4; ჯ. მამულაშვილი — 20.39,1 (49) თბილისი, „შრომითი რეზერვები"; ი. გიორგობიანი — 21.10,0; ვ. ბუდიაკი — 21.16,9 (44) თბილისი, ასკ; ს. მატვეევი — 21.48,2 (52) თბილისი, „დინამო".

საშუალო შედეგი 1963 წ. — 20.41,5; 1965 წ. — 20.23,2.

**100 მ ბრასით** — **ა. ტუტაკაევი** —1.09,6 (43) თბილისი, ასკ; **კ. ონისიმოვი** — 1.14,5 (46) თბილისი, „დინამო"; **ი. ფუნიკოვი** — 1.14,6 (41) თბილისი, „დინამო"; **ვ. ჩოლარია** — 1.15,5 (48) სოხუმი, „დინამო"; **გ. ჯიქიძე** — 1.15,6 (48) თბილისი, „დინამო"; **ი. კირდიანოვი** — 1.16,5 (51) თბილისი, „დინამო"; **ვ. პესტერიოვი** — 1.16,5 (46) თბილისი, „განთიადი"; **ვ. ბერიძე** — 1.17,9 (48) თბილისი, „დინამო"; **ა. რაზნიცინი** — 1.18,0 (48) თბილისი, „დინამო"; ვ. ჩერნიკოვი — 1.19,5 (42) თბილისი, „შრომითი რეზერვები".

საშუალო შედეგი 1963 წ. — 1.15,9; 1965 წ. — 1.15,8.

**200 მ ბრასით** — **ა. ტუტაკაევი** — 2.34,7; **ი. ფუნიკოვი** — 2.36,8; **კ. ონისიმოვი** — 2.43,5; **ვ. ჩოლარია** — 2.43,9; **ო. ემეცი** — 2.45,9 (41) თბილისი, ასკ; **გ. ჯიქიძე** — 2.46,7; **ვ. პესტერიოვი** — 2.46,7; ი. კირდიანოვი — 2.51,8; ი. ზიბროვი — 2.52,5 (44) თბილისი, „ბურევესტნიკი"; ვ. ბერიძე — 2.53,8.

საშუალო შედეგი 1963 წ. — 2.45,2; 1965 წ. — 2.45,6.

**100 მ ზურგზე ცურვა** — **ე. ხიმჩიანი** — 1.08,0 (42) თბილისი, „განთიადი"; **ბ. კამენსკი** — 1.09,2 (36) თბილისი, „დინამო"; **ბ. ლეუავა** — 1.12,0 (45) თბილისი, „ბურევესტნიკი"; **ა. არტამონოვი**—1.12,0 (46) ბათუმი, „განთიადი"; **ი. გიორგობიანი** — 1.12,0; **გ. კასატკინი** — 1.12,0 (50) თბილისი, „დინამო"; **ი. ოგანეზოვი** — 1.12,2 (48) თბილისი, „დინამო"; ე. გაიდაში — 1.14,1 (46) თბილისი, „დინამო"; მ. ფრიდკინი — 1.14,7 (38) თბილისი, „ბურევესტნიკი"; ვ. პარაფილოვი—1.15,0 (51) თბილისი, „განთიადი".

საშუალო შედეგი 1963 წ. — 1.10,9; 1965 წ. — 1.12,2.

**200 მ ზურგზე ცურვა** — **ე. ხიმჩიანი** — 2.28,7; **ბ. კამენსკი** — 2.32,9; **ბ. ნიკიტინი** — 2.35,5; **ე. გაიდაში** — 2.37,7; მ. ფრიდკინი — 2.39,2; გ. კასატკინი — 2.39,8; ი. ოგანეზოვი — 2.40,0; ვ. პარაფილოვი — 2.41,0; ი. გიორგობიანი —2.41,3; ს. კოკორევი—2.41,5 (49) სოხუმი, „დინამო".

საშუალო შედეგი 1963 წ. — 2.37,1; 1965 წ. — 2.37,8.

———

(გაგრძელება იქნება)

## სარბიელი, სპორტსმენი და შედეგები

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თითქმის ფინალში

ფეხბურთი
1965

პირეა, 3 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორ.). მატჩს საბერძნეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის წინ უძღოდა გამოუცხადებელი თავისებური „ფსიქოლოგიური ომი“. სპორტული საზოგადოებრიობა და პრესა სტუმართმოყვრულად შეხვდა საბჭოთა ფეხბურთელებს. მაგრამ მაინც დარწმუნებულად ავრცელებდნენ იმ აზრს, რომ საბჭოთა გუნდს პირეას სტადიონზე მხოლოდ დამარცხება ელოდა. „რუსებთან მოგება ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი“, — ასეთ განცხადებებს წააწყდებოდით ადგილობრივ პრესაში. გაზეთებში იბეჭდებოდა მომავალი მატჩის შედეგებიც — 1:0, 2:1, რა თქმა უნდა, ბერძნების სასარგებლოდ. მაგრამ, როგორც ცნობილია, მატჩი დამთავრდა სტუმრების დამაჯერებელი გამარჯვებით — 4:1.

სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა სათადარიგოთა სკამზე დასვა ისეთი შესანიშნავი ფეხბურთელები როგორიც ივანოვი და მესხია. მაგრამ ეს ნამდვილად სწორი ნაბიჯი იყო. ხომ უნდა იფიქრო ახალგაზრდა თაობაზეც, რომელიც ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვა. ხომ არ შეიძლება მხოლოდ მათზე დაყრდნობა, რომლებმაც ვერ გაამართლეს ჩილეში და მადრიდში? გაიხსენეთ, როგორი გამანადგურებელი სიცხადით დაგვიმტკიცეს წარსულ ზაფხულს ბრაზილიელებმა, თუ რატომ არა ვართ ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები. მთავარი ამოცანა ახლა მდგომარეობს იმაში, რომ მოვძებნოთ შემადგენლობა, რომელიც 1966 წელს წარმატების იმედს დაგვიბრუნებს.

სსრ კავშირის ნაკრები ამჯერად რამდენადმე უჩვეულო იყო: იაშინი, პონომარიოვი, ხურცილავა, შესტერნიოვი, დანილოვი, ვორონინი, საბო, მეტრეველი, ბანიშევსკი, კაზაკოვი, ხმელნიცკი.

მატჩი ძლიერ სიცხეში მიმდინარეობდა. ტემპერატურა 30 გრადუსს აღწევდა. სტადიონზე 50 ათასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი. მატჩს სჯიდა სოსანი (ისრაელი). თამაში მაღალ ტემპში დაიწყო და საბჭოთა ფეხბურთელების გამუდმებული იერიშებით მეტოქის კარზე.

მე-15 წუთზე ანგარიში გახსნა მეტრეველმა, რომელმაც ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. მანვე ბრწყინვალედ ჩააწოდა კართან, რის შედეგად გატანილი იქნა 2 გოლი. მაგრამ მატჩის ნამდვილი გმირი მაინც ბაქოელი 19 წლის ბანიშევსკი იყო, რომელმაც პირველად ჩაატარა ნაკრების შემადგენლობაში ოფიციალური მატჩი. ამ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბერძენთა კარში გაიტანა 3 ბურთი. სწორედ ბანიშევსკი და მეტრეველი იყვნენ ჩვენ გუნდში ყველაზე საუკეთესონი.

ბერძნებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს. პაპაიოანუმ (იგი 164 სანტიმეტრის სიმაღლისაა) კარგად ისარგებლა შესტერნიოვისა და იაშინის შეცდომით და ერთადერთი ბურთი გაიტანა საბჭოთა გუნდის კარში.

ამრიგად, საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრებმა პრაქტიკულად თითქმის უზრუნველყო ლონდონის საგზური, ხოლო საბერძნეთისა და უელსის გუნდები ამ ოცნებას გამოემშვიდობნენ. საკმარისია, 17 ოქტომბრის მატჩში დანიასთან საბჭოთა ფეხბურთელებმა ფრედ ითამაშონ, რომ დანარჩენი 3 შეხვედრა VII ჯგუფში ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავს.

ახლა გუნდების მდგომარეობა ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 4 | 0 | 0 | 15:3 | 8 |
| საბერძნეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:18 | 4 |
| დანია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:10 | 2 |
| უელსი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 2 |

## ახალი ამბები

● ერევანი, 3 ოქტომბერი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XI ტურში შმიდმა მოუგო მნაცაკანიანს. ლიბერზონ-ავერბახის, შტეინ-პეტროსიანის, პორტიშ-ნეის. ფუქს-შტალბერგისა და მატანოვიჩ-შაშინის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 11 ტურის შემდეგ კორჩნოის 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, პეტროსიანს, შტეინსა და ლიბერზონს — 7-7 ქულა.

● მოსკოვი, 3 ოქტომბერი. ჩვენი ქვეყნის ქალაქებში დაიწყო სსრ კავშირის XX საიუბილეო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში. მოსკოვში თამაშობდნენ შარშანდელი ჩემპიონი ცსკა და 11 პრიზიორი. დედაქალაქის „სპარტაკი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4. გორკში ადგილობრივი „ტორპედოსა“ და მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ გუნდებმა თითო ქულა გაიყვეს — 2:2. „სიბირმა“ (ნოვოსიბირსკი) შინ წააგო ლენინგრადის ასკ-სთან — 1:2. კიევში „დინამომ“ დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 3:1.

# რესპუბლიკის თუ თბილისის პირველობა?

## მძლეოსნობა

თბილისის ქუჩებში გამოკრული აფიშები სპორტის მოყვარულებს ატყობინებდნენ: „3 ოქტომბერს კუს ტბასთან გაიმართება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური კროსი“. მოსალოდნელი იყო, რომ სტარტზე გამოვიდოდნენ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის მძლეოსნები. სინამდვილეში ტურნირზე არ გამოცხადდა პერიფერიების არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო თბილისელთაგან ასპარეზობას თავი აარიდეს პედაგოგიური, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, თეატრალური ინსტიტუტების, სამხატვრო აკადემიისა და კონსერვატორიის კოლექტივებმა.

სხვა „ხერხს“ მიმართა უცხო ენების პედაგოგიურმა ინსტიტუტმა. იგი მხოლოდ განაცხადის წარმოდგენით დაკმაყოფილდა. გუნდების მცირერიცხოვნობაში სათანადო ღვაწლი შეჯიბრების ორგანიზატორებსაც მიუძღვით. მათ მიერ შედგენილი დებულება მხოლოდ პირველ თანრიგოსნებს უშვებდა შეჯიბრებაში, მაშინ, როცა ახალი კლასიფიკაციით კროსში საერთოდ არ არსებობს პირველი თანრიგის ნორმატივი (?!).

გაკვირვებას იწვევს შეჯიბრებისადმი სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის დამოკიდებულება. მართალია, რამდენიმე აქაური მძლეოსანი საქართველოს ნაკრებშია და საკავშირო ჩემპიონატისთვის ემზადება, მაგრამ მრავალათასიან კოლექტივს არ შეშვენის თითო-ოროლა მძლეოსნით შემოიფარგლოს.

ყველა ამან გამოიწვია ის, რომ შეჯიბრებაში, რომელიც მსაჯთა კოლეგიისა (მთავარი მსაჯი ა. ლაკერბაია) და „ბურევესტნიკის“ სტადიონის დირექციის მიერ კარგად იყო ორგანიზებული, მონაწილეთა რიცხვი ცალკეულ დისტანციებზე არ გაცილებია 18-ს. ყველაზე მცირერიცხოვანი იყო ქალთა კროსი 2 კილომეტრზე, რომლის სტარტზე გამოვიდა სულ 6 სპორტსმენი, ერთი მათგანი — მ. ჩაქაცარია (ფიზკულტურის ინსტიტუტი) კი წესის დარღვევისთვის შეჯიბრებიდან მოიხსნა. პირველი ადგილი დაისაკუთრა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრმა ფ. ოსიპოვამ დაბალი შედეგით — 8.16,8.

მოუმზადებელნი იყვნენ სხვა სპორტსმენებიც. ასე, მაგალითად, ვაჟთა შორის 5 კმ რბენაში სათხილამურო სპორტში სპორტის ოსტატმა გ. მალცევმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) მესამე კილომეტრზე შეწყვიტა ბრძოლა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა, პირველკურსელმა ი. ზეინან-ოღლიმ III თანრიგის შედეგით მოიპოვა გამარჯვება — 17.47,2.

შედარებით უკეთესად გამოვიდნენ იუნიორები. ვაჟთა 3 კმ-ზე რბენაში ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ი. ცანავამ (9.28,0) და ი. სოვეტკინმა (9.47,5), აგრეთვე გოგონებში 1 კმ-ზე რბენაში გამარჯვებულმა ს. გერასიმენკომ (3.30,0) შეძლეს II თანრიგის შედეგების ჩვენება. გერასიმენკომ ამას მთელი ძალების მობილიზებით მიაღწია, როცა ზედ ფინიშზე გაასწრო თანაგუნდელ ნ. ბახტაძეს (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის I გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა II გუნდი, მესამეზე — პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათებზე: იუნიორი ვაჟებისა და გოგონების შეჯიბრების მომენტები.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

## მატჩები ოქტომბერში

**„ა“ კლასი, I ჯგუფი**

**7.** „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო), „ჩერნომორეცი“ (ოდესა)— „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „ზენიტი“ — სკა (როსტოვი).

**8.** „სპარტაკი“ — „პახტაკორი“.

**10.** ცსკა — „შახტიორი“.

**11.** „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). „ზენიტი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მინსკი).

**14.** „სპარტაკი“ — „დინამო“ (მინსკი), „კრ. სოვეტოვი“ — „ლოკომოტივი“.

**15.** სკა (როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი), „პახტაკორი“ — „დინამო“ (კიევი), „ნეფტიანიკი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი), ცსკა — სკა (ოდესა).

**18.** „დინამო“ (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი“, „შახტიორი“ — „კრ. სოვეტოვი“.

**20.** „პახტაკორი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი), „ლოკომოტივი“ — „ნეფტიანიკი“.

**21.** ცსკა — „ჩერნომორეცი“.

**22.** „დინამო“ (მოსკოვი) — სკა (როსტოვი).

**23.** „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი) — სკა (ოდესა), „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კრ. სოვეტოვი“.

**25.** „ლოკომოტივი“ — „შახტიორი“.

**27.** „დინამო“ (მოსკოვი) — „კრ. სოვეტოვი“, „ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“.

**30.** „ლოკომოტივი“ — „პახტაკორი“.

**31.** „დინამო“ (თბილისი) — სკა (ოდესა), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (კიევი), „შახტიორი“ — „ნეფტიანიკი“, ცსკა — „სპარტაკი“, „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), სკა (როსტოვი) — „კრ. სოვეტოვი“.

## „ა“ კლასი

## სსრ კავშირის პირველობა გათამაშების ცხრილები

### პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 5 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 24 | 16 | 5 | 3 | 39—16 | 37 |
| „დინამო“ (კიევი) | 23 | 15 | 5 | 3 | 41—17 | 35 |
| „დინამო“ (მინსკი) | 24 | 12 | 7 | 5 | 28—15 | 31 |
| ცსკა | 24 | 10 | 8 | 6 | 27—16 | 28 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 25 | 9 | 9 | 7 | 28—23 | 27 |
| სკა (როსტოვი) | 25 | 8 | 11 | 6 | 28—24 | 27 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 25 | 8 | 10 | 7 | 29—23 | 26 |
| „დინამო“ (თბილისი) | 23 | 8 | 8 | 7 | 24—21 | 24 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 24 | 8 | 7 | 9 | 31—28 | 23 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 24 | 7 | 9 | 8 | 20—20 | 23 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 24 | 7 | 9 | 8 | 24—30 | 23 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 27 | 8 | 7 | 12 | 37—43 | 23 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 24 | 6 | 10 | 8 | 22—24 | 22 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 25 | 8 | 6 | 11 | 31—34 | 22 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 25 | 9 | 4 | 12 | 23—30 | 22 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 24 | 6 | 2 | 16 | 20—52 | 14 |
| სკა (ოდესა) | 26 | 2 | 5 | 19 | 15—51 | 9 |

**3 ოქტომბერს** შედგა 2 მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

ოდესაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი არმიელთა გუნდი და ბაქოს „ნეფტიანიკი“. ბაქოელებმა გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა **ტუაევმა**.

მოსკოვის „სპარტაკმა“ საკუთარ მინდორზე მიიღო როსტოვის სკა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. მოსკოველთა მხრივ გოლის ავტორი იყო **ამბარცუმიანი**, არმიელთაგან — **ფესენკო**.

### მეორე ჯგუფი

### I—XVI ადგილები

მდგომარეობა 5 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არარატი“ (ერევანი) | 18 | 10 | 4 | 4 | 26—19 | 24 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 18 | 9 | 5 | 4 | 26—15 | 23 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 18 | 9 | 5 | 4 | 23—12 | 23 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 18 | 7 | 8 | 3 | 22—11 | 22 |
| „ავანგარდი“ (ხარკოვი) | 18 | 9 | 4 | 5 | 22—21 | 22 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 18 | 7 | 6 | 5 | 16—18 | 20 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 18 | 7 | 5 | 6 | 24—18 | 19 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 18 | 7 | 5 | 6 | 18—14 | 19 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 18 | 5 | 8 | 5 | 15—14 | 18 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 18 | 7 | 3 | 8 | 16—14 | 17 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 18 | 6 | 5 | 7 | 18—19 | 17 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 18 | 6 | 4 | 8 | 16—22 | 16 |
| „თერგი“ (გროზნო) | 18 | 6 | 3 | 9 | 21—25 | 15 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 18 | 4 | 6 | 8 | 7—16 | 14 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 18 | 2 | 6 | 10 | 15—31 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 18 | 2 | 5 | 11 | 14—30 | 9 |

გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის „ა“ კლასის მეორე ჯგუფის კალენდარული მატჩები გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან I—XVI ადგილებისათვის: „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „ვოლგა“ (გორკი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)— „კარპატი“ (ლვოვი) 2:0, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 4:1, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „დაუგავა“ (რიგა) 3:0, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „თერგი“ (გროზნო) 0:0, „არარატი“ (ერევანი) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 3:0, „ზარია“ (ლუგანსკი) — „ავანგარდი“ (ხარკოვი) 2:0.

# საზღვარგარეთ

საკონტინენტთაშორისო მატჩი ფეხბურთში მსოფლიოს ორ უძლიერეს საკლუბო გუნდს „ინტერნაციონალესა“ (იტალია) და „ინდეპენდიენტეს“ (არგენტინა) შორის. პირველი მატჩი, რომელიც მილანში ჩატარდა და რომლის სამი მთავარი მომენტი ამ ფოტოებზეა აღბეჭდილი, იტალიელმა ფეხბურთელებმა მოიგეს. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ პირველ გოლს არგენტინელთა კარში. სუარესის (მარცხნივ) ძლიერი დარტყმა გაჭირვებით მოიგერია არგენტინელთა მეკარემ ანტორომ. ბურთს მიუსწრო უმეთვალყუროდ დარჩენილმა პეირომ და გახსნა ანგარიში. არგენტინელთა კარში გატანილი მეორე ბურთის ავტორი მაცოლა იყო (შუაში). მანვე, მესამე ბურთით (ქვედა სურათზე, წაქცეული) ამ საინტერესო და ამაღელვებელ ორთაბრძოლას წერტილი დაუსვა. 80 ათასი „ტიფოზი“ აღფრთოვანებით შეხვდა თავისი გუნდის დამაჯერებელ გამარჯვებას. მატჩის უდავო გმირი ხანდრინო მაცოლა იყო.

## დარჩა 5 ტური

უნგრეთის საფეხბურთო ჩემპიონატის 21-ე ტურში ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ დაამარცხა „პეჩი“ — 5:2. 4 ბურთი გაიტანა ალბერტმა, რომლის ანგარიშზე უკვე 23 გოლია. მეორე ადგილზეა ბენე („უიპეშტ დოჟა“) — 19 გოლი. ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „დიორი“ — მტკ 4:0, „ჰონვედი“ — „სეგედი“ 2:0, „ოზდი“ — „ტატაბანია“ 2:2, „შალგოტარიანი“ — „დოროგი“ 1:1.

დღეისთვის, როცა ჩემპიონატის ფინიშამდე მხოლოდ 5 ტური რჩება, მდგომარეობა ლიდერთა ჯგუფში ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვაშაში“ | 21 | 41:16 | 33 |
| „ფერენცვაროში“ | 19 | 50:23 | 28 |
| „ჰონვედი“ | 21 | 38:21 | 26 |
| „უიპეშტ დოჟა“ | 20 | 42:25 | 24 |
| „ჩეპელი“ | 20 | 29:22 | 22 |

(საქ. ინფ.).

## მარაკანას „რეკორდები“

მსოფლიოს უდიდეს სტადიონს, ბრაზილიის ფეხბურთის „ციტადელად“ წოდებულ „მარაკანას“ 15 წელი შეუსრულდა. მისი მშენებლობის დამთავრების დღეს რიო-დე-ჟანეიროს და გუანაბარას შტატის სხვა ქალაქებმა 21 საარტილერიო გასროლით მისცეს სალუტი. „მარაკანას“ სტადიონზე ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა სულ 32 მატჩი გამართა. აქედან ბრაზილიელებმა მოიგეს 27, 3 წააგეს (2 არგენტინელებთან, 1 ურუგვაელებთან) და 2 ფრედ დაამთავრეს. დღემდე სტადიონზე იყო დაახლოებით 35 მილიონი მაყურებელი. ადგილობრივი გუნდების შეხვედრისას მაყურებელთა სარეკორდო რიცხვი — 177.656 მოვიდა 1963 წელს, როდესაც რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონობის საკითხი წყდებოდა „ფლამენგოსა“ და „ფლუმინენზეს“ შორის. დღემდე გადაულახავი საერთო რეკორდი დამყარებულ იქნა 1950 წელს, როცა ბრაზილიაში მსოფლიოს IV ჩემპიონატი მიმდინარეობდა. ფინალურ მატჩს ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრებ გუნდებს შორის 203.850 მაყურებელი დაესწრო.

„მარაკანას“ მმართველობის შემადგენლობაში არიან წარსულში განთქმული „ვარსკვლავები“ ჟაირი, ადემირი, კასტილიო და ნილტონ სანტოსი, რომელიც სულ ახლახან გამოეთხოვა ფეხბურთს.

(საქ. ინფ.).

## ლიდერობს „ატლეტიკო“

კვირას ჩატარდა ესპანეთის ჩემპიონატის მე-5 ტური. მადრიდის „რეალმა“ სძლია „კორდოვას“ — 2:1. მადრიდელთაგან გოლები გაიტანეს პუშკაშმა და გროსომ. ბასკონიის დედაქალაქ ბილბაოში ადგილობრივი „ატლეტიკო“ დაამარცხა მადრიდის „ატლეტიკომ“ — 2:0. ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბარსელონა“ — „ვალენსია“ 1:2, „საბადელი“ — „ბეტისი“ 4:1, „სევილია“ — „სარაგოსა“ 1:1, „მაიორკა“ — „პონტევედრა“ 0:3, „ელჩე“ — „ლას-პალმასი“ 1:1, „მალაგა“ — „ესპანიოლი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ატლეტიკო“ (მადრიდი) | 5 | 9:3 | 8 |
| „რეალი“ (მადრიდი) | 5 | 6:5 | 8 |
| „პონტევედრა“ | 5 | 8:1 | 7 |
| „ვალენსია“ | 5 | 7:3 | 7 |
| „ბარსელონა“ | 5 | 11:7 | 6 |

(საქ. ინფ.).

## ახალი ნაკრების პირველი ტურნე

უკანასკნელ ხანებში სამხრეთ ამერიკაში ბევრს ლაპარაკობენ ბრაზილიის კალათბურთელ ქალთა ახალ ეროვნულ ნაკრებზე, რომელიც მიმდინარე სპორტული სეზონის ყველაზე დიდი სენსაცია უნდა გახდეს. ბრაზილიაში მართლაც შეიქმნა კალათბურთელთა ახალი ნაკრები, რომლის წევრები უმთავრესად ახალგაზრდები და მაღალი ტანის კალათბურთელები არიან. მათ ჩაატარეს კიდეც ტურნე სამხრეთ ამერიკაში და ყველგან დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს.

თავისი ნაკრების ნამდვილი ძალის გაგების მიზნით ბრაზილიის კალათბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა იგი ევროპაში გააგზავნოს. სამხრეთ ამერიკელთა ტურნე ოქტომბერში გაიმართება. ისინი გამოვლენ ბარსელონაში, პარიზში, პრაღაში, დიუსელდორფში, ბერლინში, რომსა და მილანში.

## „კრამერის ცირკის“ კრიზისი

„კრამერის ცირკი“ სერიოზულ კრიზისს განიცდის. პროფესიონალი ჩოგბურთელები კი სულ უფრო ძნელად ეგებიან ჯეკ კრამერის ანკესს. ავსტრალიელმა საქმოსანმა ერთ დროს მართლაც რომ ჩოგბურთელთა უძლიერესი ანსამბლი შექმნა. მან თავის სახელგანთქმულ „ცირკში“ თავი მოუყარა პროფესიონალური ჩოგბურთის ყველა გამორჩენილ ვარსკვლავს. მაგრამ დროთა განმავლობაში ვარსკვლავები მობერდნენ და ხალხმა მათდამი ინტერესი დაკარგა.

კრამერის აგენტები მთელს მსოფლიოში დაძრწიან. ისინი გულმოდგინედ ეძებენ ახალ ვარსკვლავებს, რათა გადაარჩინონ ერთ დროს აყვავებული ბიზნესი. ანკესს პირველი მსხვერპლი საფრანგეთში წამოეგო. ეს არის უდავოდ ნიჭიერი და პერსპექტიული ჩოგბურთელი პიერ ბარტე, რომელმაც მცირე ყოყმანის შემდეგ კრამერის ყველა წინადადება მიიღო. ბარტე პროფესიონალი ჩოგბურთელი გახდა.

აგენტები კი ახალი ვარსკვლავების ძებნაში გაშმაგებით სერავენ ევროპას. ორმა მათგანმა მორიგ მსხვერპლებსაც მიაგნო. ერთია იტალიელი ნიკოლა პიეტრანჯელი, ხოლო მეორე — ესპანელი სანტანა. ჩოგბურთელებს გადამწყვეტი პასუხი ჯერ არ მიუციათ, მაგრამ ფიქრობენ, რომ კრამერის დაპირებები მათაც გზა-კვალს აუბნევს.

## კლეი თუ პატერსონი?

პროფესიული კრივის მეცენატების პანიკას, როგორც ჩანს, ბოლო მოეღო. სულ მალე „ობლად დარჩენილ“ მძიმე წონას ახალი მსოფლიო ჩემპიონი მოევლინება. ეს მას შემდეგ გახდა ცხადი, რაც დამთავრდა ხანგრძლივი და ინტრიგებით აღსავსე მოლაპარაკება პროფესიული კრივის კავშირსა და ასოციაციას შორის.

უახლესი ცნობით, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის ერთ-ერთი პრეტენდენტი აქამდე დისკვალიფიცირებული კასიუს კლეი იქნება. დიდი ხნის ძებნის შემდეგ დადგინდა მეორე მონაწილის ვინაობაც. ესაა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, „სიმპატიური პატი“ — ფლოიდ პატერსონი. მატჩის ჩატარების თარიღია 22 ნოემბერი, ადგილი — ქალაქი ლას-ვეგასი, ბრძოლის ფორმულა — 15 რაუნდი.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

**შაში.** ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. **5 ოქტომბერი. ვ. შროგოლევ — ი. კუპერმანის მატჩი მსოფლიო პირველობაზე.** დასაწყისი 17 ს.

**სასტენდო სროლა.** „მონკავშირის“ სასროლეთი (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 75). **5 ოქტომბერი. „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

**ჩოგბურთი.** ჩოგბურთის კორტები (მარჯანიშვილის ქ. № 29). **5-10 ოქტომბერი. თბილისის პირველობა ვეტერანთა შორის.** დასაწყისი 17 ს.



▲ პარიზი. მოკრივეთა ევროპის თასის II გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 8 ქვეყანამ. ტურნირში გამოვლენ 21-25 წლის სპორტსმენები. წილისყრით წყვილები ასე დაჯგუფდნენ. ბულგარეთი შეხვდება ირანს, სსრ კავშირი — საფრანგეთს, პოლონეთი — გდრ-ს, საბერძნეთი — იუგოსლავიას. მატჩები წელს უნდა დამთავრდეს.

▲ **დიუნკერკი.** ამერიკელმა ტ. ერიკსონმა ლამანში გაცურა 30 საათსა და 3 წუთში და გააუმჯობესა არგენტინელ აბერტო დოს რეკორდი.

▲ ლონდონი. ინგლისის მძლეოსან ვაჟთა უფროს მწვრთნელად დაინიშნა ევროპის ჩემპიონი 400 მ რბენაში ბრაიტუელი.

▲ ბუდაპეშტი. უნგრელებმა ორმაგი გამარჯვება მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიელ მძლეოსნებთან მატჩში. ვაჟებმა მეტოქე დაამარცხეს 114:98, ქალებმა — 67:50.

▲ **სტამბოლი.** დამთავრდა ცხენოსანთა საერთაშორისო ტურნირი. ასპარეზობა მოიგეს რუმინელებმა.

▲ **რუნოა.** ეს ქალაქი ზღვის დონიდან 4.000 მეტრამდეა, ამიტომაც აირჩიეს იგი ამერიკელმა მძლეოსნებმა მეხიკოს ოლიმპიადისთვის მზადების ცენტრად.

▲ **ბონი.** აქ გაიმართა გფრ-ისა და საფრანგეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. სტუმრებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 98:38.

▲ პარიზი. ერთდღიანი ტრადიციული ველორბოლა „პარიზის დიდი თასი“ პროფესიონალთა შორის მოიგო ანკეტილმა, რომელმაც 75 კილომეტრის გავლას 1:34.24 მოანდომა (საათში საშუალოდ 47 კილომეტრი, 669 მეტრი). მოყვარულთა შორის უძლიერესი იყო დიუმონი — 1:43.46.

▲ **ვარნა.** აქ დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. 11 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიელმა საერთაშორისო ოსტატმა კ. ვალეკმა.

▲ **ბუქარესტი.** რუმინეთის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდის წევრმა ი. ცირიაკმა ამას წინათ მოიგო ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ცირიაკი თავისი ქვეყნის ღირსებას ორ ეროვნულ ნაკრებში იცავს: ჰოკეისა და ჩოგბურთელთა გუნდებში.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი მწუხარებით იუწყება ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივნის

**მოსე იაკობის ძე ქარჩავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყება საქართველოს სპორტკავშირის თანამშრომლის ა. ბაქრაძის დედის

**ალექსანდრა ალექსის ასულ ბაქრაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12223